განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესთან, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილებების მიღების პროცედურასთან, დისციპლინური გადაცდომებისა და სახდელების სახეებისა და დისციპლინური წარმოების განხილვის ვადებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა და წესების ახლებურად მოწესრიგებას. თითოეული ამ საკითხის ახლებურად მოწესრიგების მიზანშეწონილობის თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილია „ა.გ“ ქვეპუნქტში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ის საკითხები, რომლებიც წესრიგდება კანონპროექტით, ამჟამად მოწესრიგებულია კანონით. შესაბამისად, მათი ახლებურად მოსაწესრიგებლად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად გაუმჯობესდება საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები; კერძოდ: მოსამართლის დისციპლინური გადაცდომებისა და სახდელების არსებულ სახეებს დაემატება ახალი დისციპლინური გადაცდომები და სახდელები, რაც უზრუნველყოფს მოსამართლის მიერ ჩადენილ ქმედებაზე უფრო მეტად პროპორციულად რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის უკეთ მისადაგების შესაძლებლობას; შემცირდება დისციპლინური სამართალწარმოების ვადები და გაიზრდება შესაბამისი სამართალწარმოების ეფექტიანობა; შემცირდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებზე მოსამართლის მიმართ გადაწყვეტილებების მიღების კვორუმი, რაც გაზრდის დისციპლინური სამართალწამოების პროცედურის ეფექტიანობას; გაუქმდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ზედიზედ ორჯერ არჩევის (დანიშვნის) აკრძალვა, რაც გაზრდის პროფესიული გამოცდილებისა და დამსახურების პრინციპზე დაყრდნობით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების, აგრეთვე საბჭოში ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნების შესაძლებლობას; დაზუსტდება მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები და დადგინდება მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების დეტალური პროცედურა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად:

1. კანონის 35-ე მუხლს ემატება 13[1] პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ კანდიდატი კონკურსში მონაწილეობისას მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ვერ გამწესდება, კენჭისყრის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არანაკლებ 3 წევრს უფლება აქვს, კანდიდატის თანხმობით მიმართოს საბჭოს, რათა ამ კანდიდატს ხელახლა ეყაროს კენჭი მიმდინარე კონკურსის ფარგლებში ვაკანტურად დარჩენილ რომელიმე თანამდებობაზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელახალი კენჭისყრის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით. ხელახალი კენჭისყრა ტარდება საერთო წესით.

   ამ ცვლილების მიზანშეწონილობა დაადასტურა პრაქტიკამ; კერძოდ: შესაძლოა, კონკრენტული კანდიდატი მაღალი კონკურენციის გამო ვერ გამწესდეს მისთვის სასურველ თანამდებობაზე (მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ), თუმცა მის მიერ მოპოვებულმა შეფასებებმა ცხადყოს, რომ სავსებით შესაძლებელია მისი გამწესება სხვა სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე. დღეს მოქმედი კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას არ იძლევა და საბჭოსაც და კანდიდატსაც ზღუდავს კონკურსის საწყის ეტაპზე კანდიდატის მიერ მითითებული ვაკანტური თანამდებობების ჩამონათვალით.

2. ახლებურად ყალიბდება კანონის 37[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები; კერძოდ, მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების მაქსიმალური ვადა იზრდება 1 წლით (როგორც მოსამართლის თანხმობით მივლინების, ისე მისი თანხმობის გარეშე მივლინების შემთხვევაში).

   პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების დღეს მოქმედი მაქსიმალური ვადები არასაკმარისია შესაბამისი სასამართლოების გადატვირთულობისა და იქ განსახილველ საქმეთა სიჭარბიდან გამომდინარე.

3. ახლებურად ყალიბდება კანონის 45-ე მუხლი; კერძოდ: იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილი იქნება დამოუკიდებელი ინსპექტორის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე და სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით, წარდგინებით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთანავე, მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო საფუძვლები ყალიბდება შემდეგი სახით: მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილება მოხდება, თუ: ა) მოსამართლის მიმართ

დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა; ბ) რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა ამ კანონის 75[8] მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით და არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება მაინც: ბ.ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ თანამდებობაზე დარჩენით იგი ხელს შეუშლის დისციპლინურ სამართალწარმოებას, ან/და დისციპლინური გადაცდომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ან/და განაგრძობს სამუშაო დისციპლინის დარღვევას; ბ.ბ) დისციპლინური დევნა მიმდინარეობს ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენისათვის.

ეს ცვლილება მოაწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოსამართლის მიმართ არც სისხლისსამართლებრივი დევნა არის დაწყებული და არც მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არის მიღებული, მაგრამ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის იყენებს საკუთარ თანამდებობას და ხელს უშლის დისციპლინურ სამართალწარმოებას. ამ დროს სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად და მისი ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელია მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების, როგორც პრევენციული და შემაკავებელი ეფექტის მქონე ღონისძიების, გამოყენება, რაც გამორიცხავს უარყოფით ზემოქმედებას დისციპლინური სამართალწარმოების პროცესსა და მის შედეგებზე.

4. კანონის 47-ე მუხლის მე-12 პუნქტში წარმოდგენილი ცვლილებით უქმდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად (როგორც მოსამართლე, ისე არამოსართლე წევრად) ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევის აკრძალვა, რაც გაზრდის პროფესიული გამოცდილებისა და დამსახურების პრინციპზე დაყრდნობით საბჭოს დაკომპლექტების შესაძლებლობას. ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ვენეციის კომისიამ თავის 2013 წლის 11 მარტის N701/2012 დასკვნაში საბჭოების დაკომპლექტების საკითხის თაობაზე მსჯელობისას, ზოგადად, განმარტა, რომ *„იუსტიციის საბჭოების შექმნის ლოგიკა გულისხმობს იმას, რომ მაქსიმალურად მცირე რაოდენობის შეზღუდვები დაწესდეს მოსამართლეთა უფლებაზე, აირჩიონ თავიანთ კოლეგებს შორის მათთვის სასურველი პირები, რომლებიც მათ წარმოადგენენ საბჭოში“*. შესაბამისად, ის თუ რამდენად იმსახურებს კონკრეტული პირი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობას, მათ შორის, ზედიზედ მეორე ჯერზე არჩევას (დანიშვნას), მიზანშეწონილია, უშუალოდ მისი არჩევის (დანიშვნის) უფლებამოსილების მქონე სუბიექტმა შეაფასოს, ყოველგვარი გაუმართლებელი ბლანკეტური შეზღუდვის გარეშე.

5. კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტსა და 51[1] მუხლის პირველ პუნქტში წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის სტრუქტურას, საშტატო ნუსხასა და მოსამსახურეთა

[1] იხ. ვენეციის კომისიის აღნიშნული დასკვნის 48-ე პუქნტი: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2013)007-geo

თანამდებობრივ სარგოებს, სამსახურისათვის განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, ამტკიცებს დამოუკიდებელი ინსპექტორი. ეს ცვლილება ემსახურება დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას.

6. მცირდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებზე მოსამართლის მიმართ გადაწყვეტილებების მიღების კვორუმი (კერძოდ, ამ კვორუმის ცვლილება გამოიხატება შესაბამისი გადაწყვეტილებების, საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ის ნაცვლად, საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღებაში), რაც გაზრდის დისციპლინური სამართალწამოების პროცედურის ეფექტიანობას. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DGI) მოსაზრება (დასკვნა), სადაც ნათქვამია: *„დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირებისათვის ასეთი კვალიფიციური უმრავლესობის [საბჭოს 2/3-ის უმრავლესობის] დადგენა ქმნის სერიოზულ საფრთხეს იმისა, რომ ძალზე ბევრი საჩივარი დარჩება რეაგირების გარეშე ასეთ ადრეულ ეტაპზე იუსტიციის უმღლესი საბჭოს შესაძლო შიდაკორპორატიული მიდგომის გავლენით. უბრალო უმრავლესობა საკმარისი უნდა იყოს აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. და კიდევ, [...] იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმათა იგივე 2/3-ით წყვეტს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხს, ხოლო [...] იგივე კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერას სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის. მსგავსი ხმათა უმრავლესობა არის საკმაოდ მაღალი დანაწესი, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს კანონპროექტის მე-7 მუხლის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, და თუ არ შეაჩერა, შეანელებს მაინც დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტური განვითარების მთლიან პროცესს. იუსტიციის უმაღესი საბჭოს ახალი როლის გათვალისწინებით დისციპლინური სამართაწარმოების ინიცირებასთან მიმართებაში და დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტური სისტემის შექმნის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები ზემოხსნებულ საკითხებზე უნდა გადაწყდეს ხმათა უბრალო უმრავლესობით“.*[2] *„ქმედითი დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის დანერგვის მიზნით, იუსტიციის საბჭო დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს უბრალო უმრავლესობით უნდა იღებდეს.*[3]*“ „იუსტიციის საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების ყველა საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად დაწესებული ხმათა 2/3-ის უმრავლესობა ზედმეტად მაღალი მოთხოვნაა. დისციპლინური სამართალწარმოების უფრო ქმედითი სისტემის დასამკვიდრებლად, საჭიროა, ეს მოთხოვნა შეიცვალოს უბრალო უმრავლესობით.“*[4]

---

[2] იხ. 2014 წლის 14 ოქტომბრის N774/2014 დასკვნა, პუნქტი 24: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)032-geo

[3] იხ. 2014 წლის 14 ოქტომბრის N774/2014 დასკვნა, პუნქტი 66: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)032-geo

[4] იხ. 2014 წლის 14 ოქტომბრის N774/2014 დასკვნა, პუნქტი 72:

7. მოსამართლის დისციპლინურ გადაცდომებს ემატება დისციპლინური გადაცდომების ისეთი სახეები, რომლებიც ევროპული ქვეყნების კანონმდებლობაშიც გვხვდება (მაგალითად, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი); კერძოდ, ცვლილების მიხედვით, გადაცდომად ჩაითვალება აგრეთვე მოსამართლის მიერ აზრის გამოთქმის პროცესში ზომიერებისა და გაწონასწორებულობის კრიტერიუმის ან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა, რადგან მოსამართლის მიერ ასეთი ქმედების ჩადენა ლახავს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და ავტორიტეტს, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებს.

8. მოსამართლის მიმართ გამოსაყენებელ დისციპლინურ სახდელებს ემატება ახალი დისციპლინური სახდელები – სხვა სასამართლოში გადაყვანა არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის დაქვეითება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში. მსგავსი სახდელები დამკვიდრებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (მაგალითად, გერმანიაში, ავსტრიაში, აშშ-ში, ისრაელში და სხვა), რაც ემსახურება დისციპლინური სახდელების მრავალფეროვნების გაზრდას, რათა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი დისციპლინური გადაცდომის შესატყვისი, პროპორციული სახდელის შერჩევა (მაგალითად, საქმეზე *Oleksandr Volkov v. Ukraine* (#21722/11; 09.01.2013) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ უკრაინის კანონმდებლობით მხოლოდ 3 სახის დისციპლინური სახდელის გათვალისწინების გამო, შეუძლებელი იყო პროპორციულობის პრინციპის დაცვა). დისციპლინურ სახდელთა მრავალფეროვნება მის შემფარდებელს ანიჭებს მეტ ფარგლებს პროპორციულობის პრინციპის დასაცავად და ამცირებს დისციპლინური სახდელის უკიდურესი ფორმის, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გამოყენების შესაძლებლობას.

   ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)12 რეკომენდაციის 52-ე პუნქტის თანახმად, დასაშვებია მოსამართლის გადაყვანა სხვა სასამართლოში დისციპლინური სანქციის სახით.[5] მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპის ქარტიის 3.4. პუნქტი ასევე ითვალისწინებს მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის შესაძლებლობას დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლებში.[6]

9. ცვლილებით კანონის 75^3 მუხლს ემატება 1^1 და 1^2 პუნქტები, რომლებიც ახდენს მოსამართლეთა დისციპლინური სახდელების დიფერენცირებას ძირითად და დამატებით სახდელებად (სისხლის სამართალში არსებული მიდგომის მსგავსად) ისე, რომ დისციპლინური გადაცდომის შინაარსის (მაგალითად,

---

https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)032-geo

[5] https://rm.coe.int/cmrec-2010-12-on-independence-efficiency-responsibilites-of-judges/16809f007d

[6] https://rm.coe.int/16807473ef

ხასიათის, სიმძიმის) გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდეს ერთდროულად ძირითადი და დამატებითი სახდელების დაკისრება. ეს კი დისციპლინური სახდელის შემფარდებელს ანიჭებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობა.

10. კანონპროექტით წარმოდგენილია დისციპლინური სამართალწარმოების ვადების შემცირება (განახევრება) ყველა ეტაპზე, რაც სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ემსახურება.

11. კანონის 75^{10} მუხლის მე-4 პუნქტში წარმოდგენილი ცვლილება მიზნად ისახავს დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების საკითხის გადაწყვეტისას მაქსიმალურად შემცირდეს არამოსამართლე წევრის მიერ სამართლებრივი შეცდომის დაშვების რისკი; კერძოდ: კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების საკითხის გადასაწყვეტად, წილისყრით იქმნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3-წევრიანი კოლეგია, სადაც შესაძლებელია, რომ ამ კოლეგიის სამივე წევრი საბჭოს არამოსამართლე წევრი აღმოჩნდეს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს სათანადო პროფესიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას, მიზანშეწონილია, ეს კოლეგია დაკომპლექტდეს უპირატესად (უმარვლესობით) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებით, სადაც საბჭოს არამოსამართლე წევრიც იქნება წარმოდგენილი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით გათვალისწინებული კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, რადგან იგი, მისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითხოვს ამოქმედების უფრო გვიანდელი ვადის დადგენას. წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

საქართველოს პარლამენტის მიმდინარე რიგგარეშე სესიის დასრულებისთანავე დაიწყება პარლამენტის სესიებს შორის პერიოდი, ხოლო პარლამენტი მომდევნო მორიგ (საგაზაფხულო) სესიაზე მუშაობას 2022 წლის 1 თებერვალიდან შეუდგება.

თუმცა, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით გათვალისწინებული საკითხის დროულად მოწესრიგების საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება არ გადაიდოს 2022 წლის გაზაფხულამდე და, ამდენად, ეს საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტის მიმდინარე სესიის ფარგლებში იქნეს განხილული და მიღებული.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით შესაბამისი ორგანოებისთვის განსაზღვრული ასიგნებები. კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტით დგინდება მოსამართლის დისციპლინური სახდელის ახალი სახე – სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის დაქვეითება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. ამასთანავე, კანონპროექტით დგინდება მოსამართლის

დისციპლინური სახდელების ძირითად და დამატებით სახდელებად კატეგორიზაციის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ შესაძლოა მოსამართლეს, მაგალითად, საყვედურის გამოცხადებასთან ერთად დაეკისროს ხელფასის 5%-დან 20%-მდე დაქვითვა. ყოველივე ეს კი, მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისგან განსხვავებით, გამოიწვევს შესაბამის მოსამართლეზე ფინანსურ გავლენას მისი შემოსავლების შემცირების კუთხით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს (ფულადი შენატანს).

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: გურამ მაჭარაშვილი, გივი მიქანაძე, რატი იონათამიშვილი, გიორგი ამილახვარი, ანრი ოხანაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: გურამ მაჭარაშვილი, გივი მიქანაძე, რატი იონათამიშვილი, გიორგი ამილახვარი, ანრი ოხანაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე.